Batumi Avtotransporti LTD
შპს ბათუმის ავტოტრანსპორტი

შპს “ბათუმის ავტოტრანსპორტი”

18 000 ლიტრი დიზელის ძრავის ზეთის 15w40

ნავთობის, ქვანახშირისა და ზეთის პროდუქტები
(CPV0920000)
ძრავის ზეთები
(CPV 09211100)

სახელმწიფო შესყიდვისათვის
გამოცხადებული გამარტივებული ელექტრონული ტენდერის
სატენდერო დოკუმენტაცია

ქ.ბათუმი
2012 წ.

წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების საფუძველზე.

სატენდერო დოკუმენტაცია, პრეტენდენტის მიერ წარმოსადგენი სატენდერო წინადადება და მისი შევსების წესი

1. სატენდერო დოკუმენტაცია

1.1 სატენდერო დოკუმენტაცია არის დოკუმენტთა პაკეტი, რომელიც შეიცავს სრულ ინფორმაციას შესყიდვის ობიექტის, სატენდერო პროცესის და სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ძირითადი პირობების თაობაზე.

1.2 სატენდერო დოკუმენტაცია მოიცავს:

1.2.1 სატენდერო წინადადების ფასს, ფასების ცხრილისა და მოქმედების ვადას (დანართი №1).

1.2.2 საქონლის მიწოდების ვადებსა და ადგილს (დანართი №2).

1.2.3 ანგარიშსწორების პირობებს (დანართი №3).

1.2.4 ტექნიკურ პირობებს (დანართი №4).

1.2.5 საგარანტიო პირობებსა და ვადებს (დანართი №5).

1.2.6 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ფორმას (ხელშეკრულების პირობები დაზუსტდება გამარჯვებულ პრეტენდენტთან).

1.2.7 ხელშეკრულების შესრულების საბანკო გარანტიის ფორმას (გარანტირების ასეთი ფორმის გამოყენების შემთხვევაში).

1.2.8 პრეტენდენტის მიერ წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების ჩამონათვალს;

1.2.9 საქონლის სპეციფიკიდან გამომდინარე სხვა დამატებითი ინფორმაცია და დოკუმენტაცია.

1.3 ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებით და/ან სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილი ინფორმაციის არასრულად წარმოდგენამ ან ისეთი საკვალიფიკაციო დოკუმენტებისა და/ან სატენდერო წინადადების წარდგენამ, რომელიც არ პასუხობს ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადების და/ან სატენდერო დოკუმენტაციის ყველა მოთხოვნას, შესაძლებელია გამოიწვიოს ტენდერში მონაწილე პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია.

1.4 ტენდერში მონაწილე პრეტენდენტის სატენდერო წინადადება, აგრეთვე ამ წინადადებასთან დაკავშირებული შემსყიდველსა და პრეტენდენტს შორის გაცვლილი მთელი კორესპონდენცია და დოკუმენტაცია, შედგენილ უნდა იყოს ქართულ ენაზე (თუ სატენდერო დოკუმენტაციით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული).

2. პრეტენდენტის მიერ წარმოსადგენი სატენდერო წინადადება

2.1 პრეტენდენტის სატენდერო წინადადება უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

2.1.1 სატენდერო წინადადების ფასის, ფასების ცხრილისა და მოქმედების ვადის შევსებულ ფორმას (დანართი №1);

2.1.2 თანხმობას სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებულ საქონლის მიწოდების გრაფიკსა და ადგილზე (დანართი №2);

2.1.3 თანხმობას სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებულ ანგარიშსწორების პირობაზე (დანართი №3);

2.1.4 ტექნიკური პირობების შევსებულ ცხრილის ფორმას (დანართი №4);

2.1.5 საგარანტიო პირობების შევსებულ ცხრილის ფორმას (დანართი №5);

2.1.6 სატენდერო წინადადება უნდა შეიცავდეს პრეტენდენტის დასახელებას, იურიდიულ მისამართს, ტელეფონს/ფაქსს, საბანკო რეკვიზიტებს, ხელმძღვანელის სახელს, გვარს;

2.1.7 სხვა დამატებითი ინფორმაციას, რაც გათვალისწინებულია სატენდერო დოკუმენტაციით.
2.2 2.1 პუნქტით გათვალისწინებული ყველა ინფორმაცია და დოკუმენტაცია ერთიანობაში წარმოადგენს პრეტენდენტის სატენდერო წინადადებას, რომელიც უნდა აიტვირთოს სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში პრეტენდენტის მიერ სატენდერო წინადადების შეთავაზებისას.
2.3 პრეტენდენტს უფლება აქვს წარმოადგინოს მხოლოდ ერთი სატენდერო წინადადება.
2.4 სატენდერო დოკუმენტაციის წარმოდგენისას სატენდერო წინადადების საერთო და ერთეულის ფასი გამოსახულ უნდა იყოს ყველა ხარჯის გათვალისწინებით, როგორიცაა: ტრანსპორტირების ხარჯები და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადები, თუ მოსაკრებლები (მათ შორის დღგ - თუ სატენდერო განცხადებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული).
2.5 სატენდერო წინადადების საერთო და თითოეული ერთეულის ფასის წარმოდგენა დასაშვებია მხოლოდ ეროვნულ ვალუტაში - ლარი.
2.6 სატენდერო წინადადების დანართი №1-ით წარმოდგენილი სატენდერო წინადადების საერთო ფასი (წარმოდგენილი, როგორც ციფრობრივად ასევე სიტყვიერად) უნდა შეესაბამებოდეს პრეტენდენტის მიერ სატენდერო წინადადების წარმოდგენისას ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთულ პირველად ფასს.
2.7 ტენდერში ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გამარჯვებულის გამოვლენის შემდეგ, ხელშეკრულების გაფორმებამდე, პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნეს საბანკო გარანტიის ფორმით. (არ გამოიყენება)
3. პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადების შევსების წესი
3.1 სატენდერო წინადადების ფასის, ფასების ცხრილისა და მოქმედების ვადის ფორმა (დანართი №1).
- დანართი №1-ში იწერება - დანართის შევსების თარიღი, პრეტენდენტის დასახელება, შემოთავაზებული სატენდერო წინადადების საერთო თანხა (როგორც ციფრობრივად ასევე სიტყვიერად), ფასების ცხრილის ერთეულის ფასი და საერთო ფასი (საერთო ფასი ტოლია ერთეულის ფასი გამრავლებული რაოდენობაზე), პასუხისმგებელი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი.
- პასუხისმგებელი პირი შევსებულ ფორმაზე აწერს ხელს და ამოწმებს საწარმოს ბეჭედს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
- დაუშვებელია დანართ №1-ში სხვა რაიმე პუნქტის, ველისა და ა.შ. დამატება.
3.2 თანხმობა სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებულ საქონლის მიწოდების გრაფიკსა და ადგილზე (დანართი №2).
- ივსება მხოლოდ პასუხისმგებელი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი.
- პასუხისმგებელი პირი შევსებულ ფორმაზე აწერს ხელს და ამოწმებს საწარმოს ბეჭედს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
3.3 თანხმობას სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებულ ანგარიშსწორების პირობაზე (დანართი №3), თუ დანართი №3-ით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.
- დანართი №3-ში იწერება - დანართის შევსების თარიღი, პრეტენდენტის დასახელება, პასუხისმგებელი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი.

- პასუხისმგებელი პირი შევსებულ ფორმაზე აწერს ხელს და ამოწმებს საწარმოს ბეჭედს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
- პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი, განსხვავებული ანგარიშსწორების პირობა და ვადა უნდა აკმაყოფილებდეს სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული ანგარიშსწორების პირობებისა და ვადების მინიმალურ მოთხოვნებს.

3.4 ტექნიკური პირობების შევსებულ ცხრილის ფორმას (დანართი №4);
- პრეტენდენტმა უნდა შეავსოს ტექნიკური პირობების მე-4, მე-5 და მე-6 სვეტი;
- მე-4 სვეტში პრეტენდენტმა უნდა მიუთითოს შემოთავაზებული საქონლის წარმოშობის ქვეყანა;
- მე-5 სვეტში პრეტენდენტმა უნდა მიუთითოს შემოთავაზებული საქონლის მწარმოებელი ფირმა და საქონლის მოდელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- მე-6 სვეტში პრეტენდენტმა უნდა მიუთითოს მის მიერ შემოთავაზებული საქონლის ტექნიკური პარამეტრები;
- პრეტენდენტის დასახელება, პასუხისმგებელი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი.
- პასუხისმგებელი პირი შევსებულ ფორმაზე აწერს ხელს და ამოწმებს საწარმოს ბეჭედს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

3.5 საქონლის საგარანტიო პირობების შევსებული ცხრილის ფორმა (დანართი №5);
- პრეტენდენტმა უნდა შეავსოს საგარანტიო პირობების მე-4 სვეტი;
- მე-4 სვეტში პრეტენდენტმა უნდა მიუთითოს შემოთავაზებული საქონლის საგარანტიო პირობა და/ან ვადა, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრულ მინიმალურ მოთხოვნებს;
- პრეტენდენტის დასახელება, პასუხისმგებელი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი.
- პასუხისმგებელი პირი შევსებულ ფორმაზე აწერს ხელს და ამოწმებს საწარმოს ბეჭედს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

3.6 სატენდერო წინადადების წარმოდგენისას ზემოაღნიშნულ დანართებთან ერთად ერთიან ელექტრონულ სისტემაში უნდა ატვირთოს პრეტენდენტის რეკვიზიტები, რომელიც მოიცავს შემდეგ ინფორმაციას: პრეტენდენტის დასახელებას, იურიდიულ მისამართს, ტელეფონს/ფაქსს, ელ ფოსტა, საბანკო რეკვიზიტებს, ხელმძღვანელის სახელს, გვარს;

3.7 სხვა დამატებითი ინფორმაციისა და დოკუმენტაციის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შევსების წესი განისაზღვრება დამატებით მოთხოვნებში.

შენიშვნა:

- გამარჯვებულმა კომპანიამ, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, ვაჭრობის დამატებითი რაუნდების შედეგად დაფიქსირებილი საბოლოო ფასის შესაბამისი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ფასების ცხრილი უნდა წარმოადგინოს, ზემოაღნიშნული ფასების ცხრილის მიხედვით. ამასთანავე საბოლოო ფასების ცხრილში, პირველადი ფასების ცხრილში დაფიქსირებული (რომელიმე პოზიციაზე) ერთეულის ფასის ცვლილება ზრდის მიხედვით დაუშვებელია.

დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ შპს ბათუმის ავტოტრანსპორტის სატენდერო კომისის აპარატში, მის: ბათუმი სულხან-საბა ორბელიანის ქ № 13 საკონტაქტო პირი: სატენდერო კომისის აპარატის წევრი ამირან შაქარაძე
მობ: 577403322 ტელ: 247180

- ხელშეკრულების საბოლოო ვარიანტი დაზუსტდება გამარჯვებულთან

დანართი №1

18 000 ლიტრი დიზელის ძრავის ზეთის 15w40
სახელმწიფო შესყიდვის
სატენდერო წინადადების ფასი (დღგ-ს ჩათვლით, ლარი),
ფასების ცხრილი და მოქმედების ვადა

___ _____ _____

(შევსების თარიღი)

_____ აღნიშნულ საქონელს გთავაზობთ _____ლარად.
(პრეტენდენტის დასახელება) (თანხა ციფრებით) (თანხა სიტყვიერად)

ფასების ცხრილი

N	საქონლის დასახელება	განზ	რაოდენობა	ერთეულის ფასი	საერთო ღირებულება
I	II	III	IV	V	VI
1	დიზელის ძრავის ზეთის 15w40	ლიტრი	18 000		

ამასთანავე გაცნობებთ, რომ ჩვენი სატენდერო წინადადება ძალაშია 60 კალენდარული დღის განმავლობაში მისი წარდგენის დღიდან.

_____ _____
(თანამდებობა, სახელი, გვარი) (ხელმოწერა)

შენიშვნა: შემოთავაზებული საქონლის ფასი არ შეიძლება აღემატებოდეს პრეტენდენტის ქსელში არსებულ საქონლის საცალო ფასს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

დანართი №2

მიწოდების გრაფიკი

N	საქონლის დასახელება	განზ	საქონლის მთლიანი რაოდენობა	მიწოდების სავალდებულო ვადა
I	II	III	IV	V
1	დიზელის ძრავის ზეთის 15w40	ლტ	18000	ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2013 წლის 31 დეკემბრამდე, თვეში საშუალოდ 1500 ლიტრი

საქონლის მიწოდების ადგილია - ქ.ბათუმი, სულხან-საბა ორბელიანოს №13

_____ _____

(თანამდებობა, სახელი, გვარი) (ხელმოწერა)

დანართი №3

ანგარიშსწორების პირობები

_____ _____

(პრეტენდენტის დასახელება) (შევსების თარიღი)

- ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშწორების ფორმით.

- ანგარიშსწორება განხორციელდება ეტაპობრივად, ყოველი კონკრეტული მიწოდების შესაბამისად, საქონლის ყოველი მიწოდებიდან არაუგვიანეს **30 დღის განმავლობაში,** გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტისა და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარდგენის საფუძველზე.

_____ _____

(თანამდებობა, სახელი, გვარი) (ხელმოწერა)

დანართი №4

ტექნიკური პირობები

№	შესყიდვის ობიექტი	სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული საქონლის ტექნიკური პარამეტრები	საქონლის წარმოშობის ქვეყანა	შემოთვაზებული საქონლის მწარმოებელი ფირმა და მოდელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)	პრეტენდენტის მიერ შემოთავაზებული საქონლის ტექნიკური პარამეტრები
I	II	III	IV	V	VI
1	6000 ლიტრი დიზელის ძრავის ზეთის 15w40	სტანდარტი SAE, API, ACEA, CCMC, ILSAC (ან მისი ანალოგი)			

_____ _____

(თანამდებობა, სახელი, გვარი) (ხელმოწერა)

ზეთის სახეობა- მინერალური, ყველა სეზონისათვის.

უნდა აკმაყოფილებდეს საერთაშორის კლასიფიკატორების ნორმებს (SAE, API, ACEA, CCMC, ILSAC)

2000 ლიტრი დიზელის ძრავის ზეთი 15w40 გათვალისწინებულია შემდეგ სატრანსპორტო საშუალებათა ძრავებისათვის:

1. ***Zonda BUS 6850 HC2 – 25 ერთეული (გამოშვების წელი 2008)***
2. ***Zonda BUS 6850 HC3 – 76 ერთეული (გამოშვების წელი 2009)***
3. ***Bogdan A092 – 30 ერთეული (გამოშვების წელი 2004)***
4. ***iveco m 23 – 2 ერთეული (გამოშვების წელი 1999)***
5. ***Faw - 21 ერთეული (გამოშვების წელი 2012)***

*- პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს შემოთავაზებული ზეთის ტიპის სრული ხარისხობრივი აღწერა და ხარისხის სერთიფიკატი (ან ხარისხის პასპორტი) ნათარგმნი ქართულ ენაზე და შესაბამისი წესით ლეგალიზებული.

დანართი №5

საგარანტიო პირობა

N	საქონლის დასახელება	სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებული მინიმალური საგარანტიო პირობა და/ან ვადა	პრეტენდენტის მიერ შემოთავაზებული საგარანტიო პირობა და/ან ვადა
I	II	III	IV
1	დიზელის ძრავის ზეთის 15w40	*10 000 კმ*	

_____ _____

(თანამდებობა, სახელი, გვარი) (ხელმოწერა)

*მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ მიწოდებული საქონელი, სატრანსპორტო საშუალებების სწორი ექსპლუატაციის (ტექნიკური მომსახურეობის – **TO**, შესახებ ინსტრუქციის შესაბამისად) პირობებში არ გამოავლენს რაიმე დეფექტს, კერძოდ:*
*დიზელის ძრავის ზეთმა (**15w40**) უნდა უზრუნველყოს დიზელის ძრავის ნორმალური მუშაობა და არ უნდა აღინიშნებოდეს ზეთის დანაკარგი. სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური მომსახურების (**TO**) შესახებ ინსტრუქციაში განსაღვრული პერიოდის მანძილზე, კერძოდ: **2 TO – 1 ანუ 10 000 კმ** გარბენისას ზეთმა არ უნდა დაკარგოს აუცილებელ პარამეტრები (სიბლანტე, წებოვნობა, ძრავში არ დაიკლებს მისი მოცულობა დასაშვებზე მეტი ოდენობით და ა.შ.)*
ხოლო ასეთი დეფექტის გამოვლენის შემთხვევაში მიმწოდებელი უზრუნველყოფს წუნდებული (უხარისხო) საქონლის შეცვლას და განახორციელებს შეცვლასთან დაკავშირებულ ყველა მოქმედებას საკუთარი ძალებით და საშუალებებით, შემსყიდველის მხრიდან ყოველგვარი დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე.

*სატრანსპორტიო საშუალებათა ექსპლოატაციისათვის გამოყენებული იქნება დიზელის საწვავი არანაკლები **L-62** მარკის.*

მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შემოთავაზებული საქონელი (ძრავის ზეთი 15W40) შეესაბამება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და საერთაშორისო ნორმებით აღიარებულ მოთხოვნებს.

დანართი №6

რეკვიზიტები:

პრეტენდენტის დასახელება:

იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი:

ტელეფონს/ფაქსს, ელ ფოსტა:

საბანკო რეკვიზიტებს:

ხელმძღვანელის სახელს, გვარი, თანამდებობა:

საიდენტიფიკაციო კოდი:

_____

(თანამდებობა, სახელი, გვარი) (ხელმოწერა)

ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო ---- 2013 წ.

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები და შესყიდვის ობიექტი

ერთის მხრივ, შპს ბათუმის ავტოტრანსპორტი (მის: ქ. ბათუმი, სულხან საბა ორბელიანის ქ. №13), წარმოდგენილი - მისი დირექტორის გიორგი ლორიას სახით (შემდგომში `შემსყიდველი“) და მეორეს მხრივ, შპს „----------“ წარმოდგენილი - მისი დირექტორის ---------- სახით (შემდგომში ”მიმწოდებელი”) ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე: შემსყიდველმა გამოაცხადა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი (№SPA1200----------) ----------, სახელმწიფო შესყიდვაზე, რომელშიც კომისიის გადაწყვეტილებით გამარჯვებულად მიჩნეულ იქნა მიმწოდებლის წინადადება, შემდეგ თანხაზე: ---------- (----------) ლარი (შემდგომში ”ხელშეკრულების ფასი”).

წინამდებარე ხელშეკრულება ადასტურებს შემდეგს:

2. ტერმინთა განმარტებები

2.1. “შემსყიდველი ორგანიზაცია” (შემდგომ “შემსყიდველი”) ნიშნავს ორგანიზაციას, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

2.2. “მიმწოდებელი” ნიშნავს პირს, რომელმაც მოიპოვა გამარჯვება შემსყიდველის მიერ გამოცხადებულ ტენდერში (№SPA1200----------)

2.3. “ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ” (შემდგომ “ხელშეკრულება”) შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, მასზე თანდართული, მიმწოდებლის მიერ, წინამდებარე ხელშეკრულების 2,2 პუნქტში მითითებული, ტენდერისათვის წარმოდგენილი, ყველა დოკუმენტით, კერძოდ:

2.3.1. ფასების ცხრილი (დანართი №1).

2.3.2. საქონელის მიწოდების ვადები და ადგილი (დანართი №2).

2.3.3. ანგარიშსწორების პირობები და ვადები (დანართი №3).

2.3.4. ტექნიკური პირობა (დანართი №4).

2.3.5. საგარანტიო პირობა (დანართი №5);

2.4. “ხელშეკრულების ღირებულება” ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

2.5. “დღე”, “კვირა”, “თვე” ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

3. ხელშეკრულების საგანი

3.1. ხელშეკრულების საფუძველზე მიმწოდებელი კისრულობს ვალდებულებას, მიაწოდოს შემსყიდველს ----------, (შემდგომში ”საქონელი”), ხოლო შემსყიდველი კისრულობს ვალდებულებას, მიიღოს მოთხოვნილი საქონელი და გადაიხადოს მისი ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით.

3.2. შესყიდვის ობიექტის კლასიფიკატორის კოდი: CPV----------

3.3. საქონლის დასახელება, განზომილება, რაოდენობა და ერთეულის ფასი განისაზღვრება ფასების ცხრილის შესაბამისად (დანართი №1).

4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

4.1. შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი ნებისმიერ ეტაპზე.

4.2. შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების შესრულების კონტროლს ახორციელებენ: ---------- (შემდგომში ”ინსპექტირების ჯგუფი”)

4.3. ინსპექტირების ჯგუფის ფუნქციებია:

4.3.1. გაუწიოს კონტროლი ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდების ვადების დაცვას;

4.3.2. ხელშეკრულების საქონლის მიწოდების პარალელურად მოახდინოს მისი შემოწმება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან;

4.3.3. გააფორმოს მიღება-ჩაბარების აქტი მიმწოდებელთან და უზრუნველყოს მოწოდებული საქონლის მიღება.

4.3.4 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს დაწუნებული ხელშეკრულების საქონლის რაოდენობისა და წუნდების მიზეზების მითითებით.

4.3.4. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5. საქონლის მიწოდების ვადა და ადგილი

მიმწოდებელი ვალდებულია, საქონლის მიწოდება განახორციელოს ვადებისა და ადგილის შესაბამისად (დანართი №2).

6. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. მიმწოდებლის მიერ მიწოდებული საქონელი ჩაითვლება მიღებულად მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველზე.

6.2. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია.

6.3. მიღება-ჩაბარების აქტი დგება საქონლის (ან მისი ნაწილის) ყოველი მიწოდების დასრულების შემდეგ.

6.4. საქონლის მიღება და საბოლოო შემოწმება ხდება შემსყიდველის მისამართის მიხედვით.

6.5. საქონლის (ან მისი ნაწილის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

7. ანგარიშსწორების პირობები და ვადები

7.1. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ლარში, ფაქტიურად მიწოდებული საქონლის მოცულობის შესაბამისად, მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტებზე;

7.2. ანგარიშსწორება განხორციელდება ანგარიშსწორების პირობებისა და ვადების შესაბამისად (დანართი №3).

7.3. შემსყიდველი უფლებამოსილია, ხოლო მიმწოდებელი თანახმაა ხელშეკრულების 10.3 პუნქტით დაკისრებული პირგასამტეხლოს თანხა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

გამოქვითოს ყოველი მიღება-ჩაბარების აქტის შესაბამისი, მიმწოდებელზე გადასარიცხი თანხიდან.

7.4. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის გადახდაზე პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

8. საგარანტიო პირობები და ვადები

8.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მოწოდებული საქონელი იქნება ხარისხიანი, სწორი ექსპლუატაციის პირობებში არ გამოავლენს დეფექტს და შეესაბამება მოწოდებულ საქონელის ტექნიკურ პირობებს (დანართი №4).

8.2. მიმწოდებელი ვალდებულია გონივრულ ვადაში (თუ დანართი №5-ით კონკრეტული ვადა არ არის გათვალისწინებული) განახორციელოს წარმოქმნილი დეფექტის გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.

8.3. მიმწოდებლის მიერ საგარანტიო ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს თვითონ მიიღოს ზომები წარმოქმნილი დეფექტების გამოსწორებისათვის და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება ან გამოქვითოს ეს თანხა ხელშეკრულების მიხედვით მიმწოდებლისათვის გადასახდელი თანხიდან.

9. ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

9.1.1. მხარეთა წერილობითი შეთანხმებით;

9.1.2. ხელშეკრულების ვადის გასვლის გამო;

9.1.3. 9.2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

9.2. შემსყიდველი უფლებამოსილია, საწარმოო აუცილებლობიდან გამომდინარე, ცალმხრივად (მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, თუ:

9.2.1. მიმწოდებელი არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს;

9.2.2. მიმწოდებელი სისტემატიურად ან/და უხეშად არღვევს ხელშეკრულების პირობებს;

9.2.3. მიმწოდებელი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელის მიწოდებას.

9.2.4. მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

9.2.5. შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება;

10. მხარეთა პასუხისმგებლობა

10.1. მხარეები კისრულობენ ვალდებულებას, აუნაზღაურონ მეორე მხარეს მათ მიერ წინამდებარე ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის ან არასრულად შესრულების შედეგად მიყენებული ზიანი, მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

10.2. შემსყიდველი კისრულობს პასუხისმგებლობას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანგარიშსწორების ვადების დარღვევისათვის, პირგასამტეხლოს სახით მიმწოდებელს გადაუხადოს გადასახდელი თანხის 0.1 პროცენტი ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის.

10.3. მიმწოდებელი კისრულობს პასუხისმგებლობას: საქონელის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებით, ვადების დარღვევის შემთხვევაში, პირგასამტეხლოს სახით შემსყიდველს გადაუხადოს გრაფიკით გასაწევი საქონლის ღირებულების 0.1 პროცენტი ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის;

10.4. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან;

10.5 იმ შემთხვევაში, თუ საჯარიმო სანქციების ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 4%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

10.6. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან:

10.6.1. თუ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით ან/და მხარეები ხელშეკრულების შესრულების პროცესში წააწყდებიან ისეთ ხელშემშლელ გარემოებებს, რომელიც გამოწვეულია მათგან დამოუკიდებელი სხვა ობიექტური მიზეზებით.

10.6.2. ის მხარე, რომელიც ხელშეკრულების **10.4.1** პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევების გამო ვერ ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას ვალდებულია დაუყოვნებლივ წერილობით აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამომწვევი მიზეზებისა და მისი შესაძლო ხანგრძლივობის შესახებ, ხოლო შეტყობინებიდან არაუგვიანეს **10** (ათი) დღისა წარმოადგინოს ცნობა შესაბამისი კომპენტენტური ორგანიზაციიდან (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომელიც დაადასტურებს წერილში მოყვანილ გარემოებებს.

10.6.3. ხელშეკრულების **10.4.2** პუნქტით გათვალისწინებული პირობების დაცვის შემთხვევაში მხარეები უფლებამოსილნი არიან გადახედონ ხელშეკრულების პირობებს და შეიტანონ მასში შესაბამისი ცვლილება ვალდებულების შესრულების ვადის გაგრძელებასთან დაკავშირებით ან/და ვადამდე შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება.

11. ფორს-მაჟორი

11.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული, როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას.

11.2. ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

11.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

12. გამოყენებული სამართალი

ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

13. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

13.1. ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

13.2. დაუშვებელია ხელშეკრულებაში იმგვარი ცვლილებების შეტანა, რომლის შედეგადაც იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

13.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

13.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს შეთანხმების სახით, რომელიც თან დაერთვება ხელშეკრულებას და ჩაითვლება მის განუყოფელ ნაწილად.

14. ხელშეკრულების სხვა პირობები

14.1. ხელშეკრულების არც-ერთ მხარეს არა აქვს უფლება მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი;

14.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან თითო ეგზემპლიარი ინახება ხელშეკრულების მონაწილე მხარეებთან.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაშია მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2013 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

16. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

“შემსყიდველი“	“მიმწოდებელი“
შპს ბათუმის ავტოტრანსპორტი	
მის: ქ. ბათუმი სულხან-საბა ორბელიანის 13	
სს საქართველოს ბანკი	
ანგარიშის ნომერი	
GE52BG0000000524630000	
საიდენტიფიკაციო კოდი 245445200	
დირექტორი	
გიორგი ლორია	